ხელოვნების ფონდი ანაგი
ART FOUNDATION ANAGI

REPRESSION & FREE WILL

რეპრესია და თავისუფალი ნება

კურატორები: თეა გოგუაძე-აპფელ, კონსტანტინე ბოლქვაძე, მარიამ შერგელაშვილი
Curated by Thea Goguadze-Apfel, Konstantine Bolkvadze, Mariam Shergelashvili

Polish Institute Tbilisi

კურატორები: თეა გოგუაძე-აპფელ, კონსტანტინე ბოლქვაძე, მარიამ შერგელაშვილი
Curated by Thea Goguadze-Apfel, Konstantine Bolkvadze, Mariam Shergelashvili

რეპრესია და თავისუფალი ნება

გამოფენა „რეპრესია და თავისუფალი ნება“ საბჭოთა სისტემის მიერ ხელოვანის თავისუფალი ნების შეზღუდვის მექანიზმებსა და იმ შემოქმედებით წინააღმდეგობაზე მოგვითხრობს, რომელიც რეპრესიებზე პასუხად ყალიბდებოდა.

საბჭოთა კულტურულ პოლიტიკაში ხელოვნება იდეოლოგიური კონტროლის ინსტრუმენტად განიხილებოდა. დადგენილი ჩარჩოებიდან ნებისმიერ გადახვევას საფრთხედ აფასებდნენ. ამ კონტექსტში, თავისუფალი შემოქმედებითი არჩევანი არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ ეთიკურ და პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა.

ექსპოზიცია აერთიანებს ბიოგრაფიული ისტორიების, არქივისა და მხატვრული ენის ანალიზს, რათა წარმოაჩინოს რეპრესიის ფორმები, რომელსაც საბჭოთა სისტემა მიმართავდა და, ასევე, გვიჩვენოს ხელოვანთა ინდივიდუალური, ტრავმული გამოცდილება.

ამ პროცესის ერთ-ერთ სიმბოლურ ფიგურად წარმოდგენილია ჰენრიკ ჰრინევსკი (1869-1938) – პოლონური წარმოშობის, საქართველოში მოღვაწე ხელოვანი, რომელიც საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა. გამოფენა ხელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ კონტექსტს წარმოგვიდგენს და, იმავდროულად, ძალაუფლების მექანიზმების ვიზუალურ და დოკუმენტურ მტკიცებულებადაც გვევლინება.

საბჭოთა რეპრესიული ლოგიკის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სამიზნე აბსტრაქტული ხელოვნება იყო. როგორც ხელოვნების არარეპრეზენტაციული და არანარატიული ფორმა, აბსტრაქცია რეჟიმისათვის იდეოლოგიურად მიუღებელი იყო, რადგან ის უარს ამბობდა სოციალისტური რეალიზმის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სიუჟეტზე. ამ მიზეზით, აბსტრაქტული ხელოვნება „ფორმალისტურ“, „ანტისოციალისტურ“ ან „მედასავლეთე“ პრაქტიკად ცხადდებოდა, ნამუშევრების ავტორები კი სისტემური ზეწოლის, ცენზურისა და პროფესიული მარგინალიზაციის ობიექტებად იქცეოდნენ. ამის მიუხედავად, დავით კაკაბაძიდან (1889-1952) ლეილა შელიამდე (დ. 1953), საქართველოში აბსტრაქციონიზმის

მძლავრი და მრავალშრიანი ტრადიცია ჩამოყალიბდა. თითოეული ავტორის შემთხვევაში, რეპრესიული პრაქტიკა სხვადასხვა „საბჭოთა კაზუსს“ უკავშირდება.

გამოფენა მხოლოდ ისტორიული ანალიზით არ შემოიფარგლება. ის დამთვალიერებელს საბჭოთა იდეოლოგიური ასპექტების კრიტიკულ გადააზრებას სთავაზობს თანამედროვე ქართველი ხელოვანების - ლევან ჭოღოშვილის (1953), გურამ წიბახაშვილის (1960) და მერაბ კოპალეიშვილის (1967) შემოქმედებითი პრაქტიკებით.

ლევან ჭოღოშვილის ქართველ არისტოკრატთა საოჯახო არქივებზე დაფუძნებული პორტრეტების სერია, ანექსიისა და გასაბჭოების კონტექსტში, მეხსიერების, იდენტობისა და ეთოსის ტრანსფორმაციას იკვლევს.

გურამ წიბახაშვილის სერია საბჭოთა კინო პლაკატის ენას – ირონიისა და თვითრეფლექსიის გზით – ისტორიული დოკუმენტიდან კრიტიკული დაკვირვების ობიექტად გარდაქმნის.

მერაბ კოპალეიშვილის სერია – „დათა თუთაშხია“, ლიტერატურული ნარატივების მხატვრული გადააზრებით, თავისუფალი ნებისა და წინააღმდეგობის მარადიულ თემებს უღრმავდება.

დღეს, რეპრესიების ამ კოლექტიური ტრავმის ფონზე, როგორ გავიაზრებთ თავისუფალ შემოქმედებით ნებას? საბჭოთა დესტრუქციული გამოცდილება რომელიც დალექილია ჩვენს მეხსიერებასა და კოლექტიურ ცნობიერებაში, რამდენად განაპირობებს დღევანდელ კრიზისს? არის თუ არა ხელოვნება ის ინსტრუმენტი, რომელიც ამ კრიზისს ისტორიული მიზეზ-შედეგობრიობის ჭრილში ამხელს?

გამოფენა სწორედ ამ და სხვა მსგავს კითხვებზე ფიქრისა და პასუხების ძიებისკენ გვიბიძგებს.

შესავალი ტექსტისა და ზოგადი
კონცეფციის ავტორი:
მარიამ შერგელაშვილი

კურატორები:
თეა გოგუაძე-აპფელი
კონსტანტინე ბოლქვაძე
მარიამ შერგელაშვილი

ჰენრიკ ჰრინევსკი გრაფიკული ნამუშევრები
HENRYK HRYNIEWSKY Graphic Works

ჰენრიკ ჰრინევსკი **გრაფიკული ნამუშევრები**
HENRYK HRYNIEWSKY **Graphic Works**

Repression & Free Will

The exhibition Repression and Free Will examines the mechanisms through which the Soviet system restricted the artist's autonomy, as well as the forms of creative resistance that emerged in response to repression.

Within Soviet cultural policy, art was conceived as an instrument of ideological control. Any deviation from prescribed frameworks was perceived as a threat. In this context, free creative choice was understood not merely as an aesthetic position, but as an ethical and political act.

The exhibition brings into dialogue biographical narratives, archival materials, and analyses of artistic language in order to reveal the forms of repression employed by the Soviet system, while also foregrounding the artists' own deeply personal and traumatic experiences.

One of the symbolic figures in this process is Henrik Hryniewski (1869–1938), an artist of Polish descent active in Georgia who became a victim of Soviet repression. The exhibition presents the historical context of his life and work and, at the same time, serves as visual and documentary evidence of the mechanisms of power.

One of the most visible targets of Soviet repressive logic was abstract art. As a non-representational and non-narrative form, abstraction was ideologically unacceptable to the regime, as it rejected the political and ideological narrative of Socialist Realism. For this reason, abstract art was declared "formalist," "anti-socialist," or "pro-Western," and its authors became subjects of systemic pressure, censorship, and professional marginalization. Despite this, from David Kakabadze (1889–1952) to Leila Shelia (b. 1953), a solid and multilayered tradition of abstraction developed in Georgia. Each case reveals a distinct mechanism of Soviet repression.

The exhibition is not limited to historical analysis. It offers a critical reconsideration of Soviet ideology through the creative practices of Georgian artists – Levan Chogoshvili (1953), Guram Tsibakhashvili (1960), and Merab Kopaleishvili (1967).

ჰენრიკ ჰრინევსკი **HENRYK HRYNIEWSKY** **გრაფიკული ნამუშევრები** **Graphic Works**

In this context, Levan Chogoshvili's series of portraits, based on the family archives of Georgian aristocrats, explores the transformation of memory, identity, and ethos in the context of annexation and Sovietization.

Guram Tsibakhashvili's series – through irony and self-reflection – transforms the language of the Soviet cinema poster from a historical document into an object of critical observation.

Merab Kopaleishvili's artistic series drawing on literary narrative, explores the enduring themes of free will and resistance.

Against the backdrop of this collective trauma of repression, how might we understand free creative will today? To what extent does the destructive experience of the Soviet past, sedimented in our memory and collective consciousness, shape the crises of the present? And can art become the instrument through which this crisis is revealed within a broader historical chain of cause and effect?

The exhibition invites reflection on these and related questions, prompting viewers to reconsider the conditions of artistic freedom across time.

Author of the introductory text and general concept: **MARIAM SHERGELASHVILI**
Curators: Tea Goguadze-Apfel, Konstantine Bolkvadze, Mariam Shergelashvili

ჰენრიკ ჰრინევსკი გრაფიკული ნამუშევრები
HENRYK HRYNIEWSKY Graphic Works

აბსტრაქცია და „საბჭოთა კაზუსები“

გამოფენაზე წარმოდგენილია აბსტრაქციონსტ მხატვართა ნამუშევრები, რომლებმაც რთული ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა განვლეს.

შემოქმედებითი ძიებების გამო, საბჭოთა სისტემაში ისინი რეპრესიებისა და მარგინალიზაციის მსხვერპლი გახდნენ.

სელექცია არასრულია, მაგრამ ის ნათლად წარმოაჩენს მიმდინარეობის საკვანძო ფიგურებსა და მათ მიერ ქართულ სახვით ხელოვნებაში შეტანილ წვლილს.

ამ მხატვრების ცხოვრებას შემოქმედებითი „გოლგოთაც“ შეიძლება ვუწოდოთ.

აბსტრაქტული ხელოვნება ანტისაბჭოთა განწყობების გამოხატვის ერთგვარი იარაღი იყო. საბჭოთა იდეოლოგია მათ “მედასავლეთეებად” და “ანტისაბჭოთა ელემენტებად” მოიხსენიებდა და “ბურჟუაზიულის”, “ფორმალისტურის”, “ანაქრონისტულისა” და “ანტისოციალისტურის” იარლიყებს აკერებდა.

საბჭოთა ცენზურა სამაგალითოდ სჯიდა სახელმწიფო იდეოლოგიიდან ყოველგვარ გადაცდომას. რეჟიმის „კაზუსები“ ირონიული, აბსურდული და ხშირად ტრაგიკულიც იყო. მაგალითად, საბჭოთა კრიტიკოსებმა ქართული აბსტრაქციის პიონერს, დავით კაკაბაძეს, “ფორმალისტი” უწოდეს. მისი სტიგმატიზება დანარჩენი აბსტრაქციონისტებისათვის ერთგვარი მაგალითი უნდა ყოფილიყო. ამ დამღამ ხელოვანს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

საკურატორო სელექცია სისტემის „სადამსჯელო კაზუსების“ ისტორიებითა და თავად მხატვრების ციტატებით არის გამყარებული, საიდანაც ნათლად ჩანს აბსტრაქციონისტ მხატვრად ყოფნის მძიმე ტვირთი.



Temo Japaridze, Flicker of Colors, Mixed media on cardboard, 97×19.5 cm, 1968

თემო ჯაფარიძე
ფერთა ციმციმი,
მუყაო, შერეული ტექნიკა
97 × 19,5 სმ; 1968

გამოფენა ქრონოლოგიურად მისდევს ქართული აბსტრაქციის განვითარების ხაზს - ადრეული მოდერნიზმიდან, საქართველოს დამოუკიდებლობამდე (1920-2000-იანი წლები).

ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში აბსტრაქციის ორი ტალღა შეიძლება გამოვყოთ.

პირველი ტალღა 1950-60-იანელთა თაობაში განვითარდა, როგორც პოსტსტალინური ხელოვნების მიმართ პროტესტი. ამ თაობის აბსტრაქტული სტილისა თუ სკოლის წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან: ალექსანდრე ბანძელაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, თემო ჯაფარიძე და გურამ (ხიტა) ქუთათელაძე.

მეორე ტალღა 1980-90-იანელთა თაობაში გამოიკვეთა. ესენი არიან: გია ეძგვერაძე, ილიკო ზაუტაშვილი, ირაკლი ფარჯიანი, ლუკა ლასარეიშვილი, ლეილა შელია, ავთო მესხი, ავთო მოსიაშვილი და სხვები.

საყურადღებოა, რომ აბსტრაქტული სტილით გატაცება ხელოვანთა ორივე თაობაში დაგვიანებით მოხდა. ქართული ხელოვნება დასავლურ ტენდენციებს დროში ჩამორჩებოდა. საქართველოში დამკვიდრებული ტრენდი, როგორც წესი, დასავლეთში უკვე მოძველებული იყო.

ამის მიუხედავად, ორივე ტალღის მხატვრები ცდილობდნენ, ქართული ფერწერა სოცრეალიზმის სტილურ-ჟანრული ერთგვაროვნებისაგან გაეთავისუფლებინათ და საბჭოთა იდეოლოგიით წარმოქმნილი სიცარიელე შეევსოთ.

გამოფენის თანაკურატორი:
კონსტანტინე ბოლქვაძე

Temo Japaridze, Flicker of Colors, Mixed media on cardboard, 96.5×22 cm, 1968

თემო ჯაფარიძე
ფერთა ციმციმი,
მუყაო, შერეული ტექნიკა
96.5 × 22 სმ; 1968





დავით კაკაბაძე
საქართველოს სსრ დროშის ესკიზი
ქაღალდი გუაში
20×32 სმ; 1930

DAVID KAKABADZE
Sketch for the Flag of the Georgian SSR,
Gouache on paper
20×34 cm, 1930



დავით კაკაბაძე
აბსტრაქცია
ქაღალდი შერეული მედია
35 × 26 სმ; 1921

DAVID KAKABADZE
Abstraction,
Mixed media on paper
35 × 26 cm, 1921

ჯიბსონ ხუნდაძე
უსათაურო
ფირფიცარი, ზეთი
87 × 90 სმ; 1962

JIBSON KHUNDADZE
Untitled
Oil on fiberboard,
87×90 cm, 1962

უშანგი ხუმარაშვილი
უსათაურო
ტილო, ზეთი,
200 × 200 სმ; 2009

USHANGI KHUMARASHVILI
Untitled
Oil on fiberboard,
200 ×20 0 cm, 2009



ავთო მესხი
სიყვარული დამთავრდა იებით,
ტილო ზეთი
38 × 60 სმ; 1989

AVTO MESKHI
Love Ended with Violets,
Oil on canvas,
38×60 cm, 1989



ავთო მესხი
სოჭის პორტი
ტილო ზეთი
60 × 40 სმ; 1988

AVTO MESKHI
Sochi Port,
Oil on canvas,
60×40 cm, 1988

Abstraction & Soviet Punitive Practices

The exhibition presents works by abstract artists who underwent difficult personal and creative journeys. As a result of their artistic explorations, they became victims of repression and marginalization within the Soviet system.

The selection is not exhaustive; however, it clearly highlights the key figures of the movement and their contribution to Georgian fine art.

The lives of these artists may well be described as a creative "Golgotha."

Abstract art functioned as a form of expressing anti-Soviet sentiment. Soviet ideology labeled them "pro-Western" and "anti-Soviet elements," attaching to them the stigmas of "bourgeois," "formalist," "anachronistic," and "anti-socialist."

Soviet censorship punished exemplary any deviation from state ideology. The regime's punitive practices were ironic, absurd, and often tragic. For example, Soviet critics referred to David Kakabadze, a pioneer of Georgian abstraction, as a "formalist." His stigmatization was intended to serve as a warning to other abstractionists. This label created serious difficulties for the artist.

The curatorial selection is reinforced by documented histories of the system's punitive practices and by quotations from the artists themselves, which clearly reveal the heavy burden of being an abstract artist.

The exhibition follows, chronologically, the development of Georgian abstraction – from early modernism to Georgia's independence (1920s–2000s).

In the history of Georgian fine art, two waves of abstraction can be identified.

The first wave emerged among the generation of the 1950s–60s as a protest against post-Stalinist art. Representatives of this abstract style or school include Aleksandre Bandzeladze, Jibson Khundadze, Temo Japaridze, and Guram (Khita) Kutateladze.

TEMO JAPARIDZDE
Flicker of Colours

Mixed media on cardboard
97.5×33 cm, 1968

თემო ჯაფარიძე
ფერთა ციმციმი,
მუყაო, შერეული ტექნიკა
97.5 × 33 სმ; 1968



The second wave took shape among the generation of the 1980s–90s. These artists include Gia Edzgveradze, Iliko Zautashvili, Irakli Parjiani, Luka Lasareishvili, Leila Shelia, Avto Meskhi, Avto Mosiashvili, and others.

It is noteworthy that the introduction of abstract style in both generations occurred belatedly. Georgian art lagged behind Western tendencies. Trends established in Georgia were, as a rule, already outdated in the West.

Despite this, artists of both waves sought to liberate Georgian painting from Soviet stylistic and genre uniformity and to fill the void produced by Soviet ideology.

Konstantine Bolkvadze
Co-curator of the exhibition:

OTAR CHKHARTISHVILI
Untitled
Oil on canvas
70× 120 cm, 1972

ოთარ ჩხარტიშვილი
უსათაურო
ტილო, ზეთი,
70 × 120 სმ; 1972

SERGO CHAKHOIANTS
Untitled
Oil on canvas
95 × 65 cm, 1999

სერგო ჩახოიანცი
უსათაურო
ტილო, ზეთი,
95 × 65სმ; 1999

DAVID KAKABADZE
Composition
Mixed media on cardboard
17.7 × 21.5 cm
1924

დავით კაკაბაძე
კომპოზიცია
მუყაო, შერეული მედია
17,7 × 21,5 სმ; 1924



DAVID KAKABADZE
Composition,
Oil on canvas
60 × 75 cm, 1926

დავით კაკაბაძე
კომპოზიცია
ტილო, ზეთი
60 × 75 სმ; 1926

ალექსანდრე ბანძელაძე
კომპოზიცია
ტილო, ზეთი
195 × 288 სმ; 1989

ALEXANDER BANDZELADZE
Composition,
Oil on canvas
195 × 288 cm, 1989

ალექსანდრე ბანძელაძე
როკ ენ როლი
ტილო, ზეთი
190 × 292 სმ; 1989

ALEXANDER BANDZELADZE
Rock and Roll
Oil on canvas
190 × 292 cm, 1989

AVTO MOSIASHVILI
Untitled
Oil on canvas
70 × 70 cm

ავთო მოსიაშვილი
უსათაურო
ტილო, ზეთი,
70 × 70 სმ

SERGO CHAKHOIANTS
Untitled
Oil on canvas
70 × 60 cm

სერგო ჩახოიანცი
უსათაურო
ტილო, ზეთი,
70 × 66 სმ

REPRESSION & FREE WILL

REPRESSION AND FREE WILL

Artistic Reflections

Levan Chogoshvili
Guram Tsibakhashvili
Merab Kopaleishvili

რეპრესია და თავისუფალი ნება

მხატვრული რეფლექსიები

ლევან ჭოლოშვილი
გურამ წიბახაშვილი
მერაბ კოპალეიშვილი

ლევან ჭოღოშვილი, 1924, მუყაო, ხელით ბეჭდვა, შერეული ტექნიკა
LEVAN CHOGOSHVILI, 1924, Hand printing and mixed media on cardboard, 350 × 500 cm, 1984



ლევან ჭოღოშვილი
ვენერა და მარ(ქ)სი
ქაღალდი, ტემპერა და შერეული ტექნიკა

LEVAN CHOGOSHVILI
Venus and Mar(x)s
Tempera and mixed media on paper
90×100 cm, 1987



ლევან ჭოღოშვილი
შვეიცარიის საზღვარი სერიიდან –აკრძალული ფოტოები
ქაღალდი, შერეული ტექნიკა

LEVAN CHOGOSHVILI
Switzerland Border From the series Forbidden Photos
Paper, mixed media
33×46.5 cm, 1984

...1973 წლიდან ლევან ჭოღოშვილი ქმნის თავის ყველაზე ცნობილ სერიას, ე.წ. ფერწერას ფოტოებიდან, სურათებს ფოტოებიდან, სადაც ის მიზანმიმართულად იყენებს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია-გასაბჭოებამდელ საოჯახო ფოტოებს (პირველი სურათებია: „ქართველი სტუდენტები პეტერბურგში“ და „ძმები ციციშვილები“).

პარალელურად, 1975 წელს, ლევან ჭოღოშვილი ქმნის სურათის „ზურაბ არაგვის ერისთავის მკვლელობა“ პირველ ვარიანტს, რომლის ახალ ვერსიასაც მოგვიანებით, 1983 წელს ასრულებს. მის შემოქმედებაში შემოდის ისტორიული თემა წინააღმდეგობრივი პერსონაჟით, რომელიც მე-17 საუკუნის საქართველოში ცხოვრობდა, როცა ქვეყნის ბედს სამი იმპერიის - სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის - ინტერესთა კონფლიქტი წყვეტდა. ამ საკვანძო ისტორიული ამბის არჩევამ, ფაქტობრივად, უჩვენა, რა მიმართულებით წავიდოდა ჭოღოშვილის შემოქმედება.

საქართველოს ანექსიამდელი საოჯახო ფოტოგრაფიის გამოყენება - ამ სერიაში საინტერესოა რამდენიმე კონცეპტუალური შრე: 1. ის ნიმუშად, დედნად ისეთ საოჯახო ფოტოგრაფიას იყენებს, რომელიც საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. ამ ფოტოებში განსხვავებული სოციალურ-კულტურული და ინტელექტუალური გარემოა. მათზე სხვადასხვა სოციალური ფენის კონკრეტული ადამიანები არიან გამოსახულნი - რეჟიმის მსხვერპლნი, რომელთა ფიზიკური და მორალური განადგურება საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წლიდან დაიწყო. 2. ძველი ფოტოების გამოყენება მათ პოეტიკასთანაც არის დაკავშირებული. ადრეულ საოჯახო ფოტოგრაფიებზე ვალტერ ბენიამინი ამბობს, რომ ისინი უკანასკნელნი არიან, ვინც ძველ „აურას“ ინარჩუნებენ. ეს აურა რეზონირებს როგორც ფოტოზე გამოსახულ ადამიანებთან, ისე - მათ თანადროულ და საბჭოთა პერიოდში განადგურებულ კულტურულ-ინტელექტუალურ გარემოსთან.

ამდენად, ისინი არა მხოლოდ პერსონალური მეხსიერების სახეები არიან, არამედ - კულტურული მნიშვნელობის მატარებელნიც. მათი სხვა მედიუმში (ტემპერა ქაღალდზე, ზეთი ტილოზე) გადატანა კი, აკრძალულის, დაკარგული მეხსიერების, ტრაგიკული ისტორიის მხატვრულ-ესთეტიკური გაცოცხლებაა...

ნანა ყიფიანი
ხელოვნების ისტორიკოსი

ლევან ჭოღოშვილი, დავით გარეჯი, საბერეები, ტილო, ზეთი
LEVAN CHOGOSHVILI, David Gareji, Sabereebi, Oil on canvas, 147x114 cm, 1986

ლევან ჭოღოშვილი, არაგვის ერისთავის მკვლელობა, ტილო, ზეთი
LEVAN CHOGOSHVILI, The Murder of the Aragvi Eristavi, Oil on canvas, 150x180cm, 1973-1977

...Since 1973, Levan Chogoshvili has developed his most renowned series, the so-called paintings from photographs (or images from photographs), in which he deliberately draws on family photographs taken before Russia's 1921 annexation and the Sovietization of Georgia (among the earliest works in this series are Georgian Students in St. Petersburg and The Tsitsishvili Brothers).

In parallel, in 1975, Chogoshvili produced the first version of the painting The Murder of Zurab, Eristavi of Aragvi, completing a new version later in 1983. With this work, a historical theme enters his artistic practice through the figure of a controversial character who lived in 17th century Georgia, when the fate of the country was shaped by the competing interests of three empires – the Safavid Iran, the Ottoman Empire, and Russia. The choice of this pivotal historical episode effectively signaled the direction Chogoshvili's artistic practice would take.

The Use of Pre-Annexation Family Photography- This series unfolds through several important conceptual layers. 1. Chogoshvili uses family photographs that were banned in the Soviet Union as his source material. These images reveal a different social, cultural, and intellectual environment. They depict individuals from various social strata, people who later became victims of the regime, whose physical and moral destruction began under Soviet rule in 1924. 2. The use of early photographs is also connected to their poetic dimension. Walter Benjamin observed that early family photographs were among the last to preserve the old "aura." This aura resonates both with the people depicted in the images and with the cultural and intellectual milieu of their time, which was later destroyed during the Soviet period. Thus, these images function not only as fragments of personal memory but also as carriers of broader cultural meaning. Their translation into another medium, tempera on paper or oil on canvas, becomes an artistic and aesthetic reanimation of forbidden and lost memory, as well as of a tragic history

Nana Kipiani
Art historian

გურამ წიბახაშვილმა საბჭოთა კინოპლაკატებზე გადაწერით ექსპერიმენტული კომპოზიციების შექმნა 1988-89 წლებში დაიწყო. გადაწერის აქტი, როგორც ვიზუალურად, ასევე შინაარსობრივად მძაფრ გზავნილს შეიცავს. ვიზუალური მასალის ხელახალი გადამუშავებით ხელოვანი ისტორიულ გამოსახულებებს თავდაპირველ კონტექსტს აცლის და ამ პოსტმოდერნისტული მიდგომით, ირონიული, რეფლექსიური, ერთგვარი "ლეტალური" სივრცე იქმნება, სადაც იდეოლოგიური ტექსტურა ნახევრად წაშლილი ან მთლიანად გადაწერილია. ამგვარი „გადაწერა" არ გულისხმობს მხოლოდ არსებული გამოსახულების დესტრუქციას; ვიზუალური ენის ტრანსფორმაციით ძველი ნიშნები ახალ მნიშვნელობებად გარდაიქმნებიან. ნამუშევრებში გამოკვეთილი შავი სასურათე სიბრტყე ერთიან კონცენტრირებულ ველს ქმნის, სადაც ლაქობრივი ინტერვენციები, სიტყვები და სიმბოლოები ფარულ ან ღია გზავნილებად თუ მინიშნებებად ჩნდებიან.

გურამ წიბახაშვილის მუდმივად ცვლადი გამოსახულება კინოპლაკატის იდეოლოგიზირებულ გამომსახველობას სრულად უკარგავს თავის მონოლითურობას. ავტორი თამაშობრივი და რეფლექსიური ასახვით თავისუფალ მხატვრულ ენას ავითარებს - გადაწერის პროცესს კი ახალი მნიშვნელობების ფორმირებით იწყებს...



Through the serial rewriting of Soviet film posters, Guram Tsibakhashvili developed his individual artistic approach and created experimental compositions in 1988–1989. In that period, the act of rewriting itself carries a sharp visual and conceptual message. By reworking visual material, the artist detaches historical images from their original context and, through this postmodern gesture, constructs an ironic and reflective, almost "lethal" space where the ideological texture appears partially erased or entirely overwritten.

Such "rewriting" does not imply merely the destruction of an existing image. Through the transformation of visual language, former signs are converted into new meanings. The pronounced black pictorial surface forms a unified and concentrated field in which spot-like interventions, words, and symbols emerge as implicit or explicit messages and hints.

Within Tsibakhashvili's constantly shifting imagery, the ideological expressiveness of the film poster loses its former monolithic authority. Through a playful and reflective approach, the artist develops a free visual language, while the process of rewriting initiates the formation of new meanings.

გურამ წიბახაშვილი
GURAM TSIBAKHASHVILI

სერიიდან გადაწერა
From the series Rewrite 1988 - 1989

მერაბ კოპალეიშვილის „დათა თუთაშხიას“ სერია (1996-1997) ლიტერატურული ნარატივის შემოქმედებითი მხატვრული ინტერპრეტაციაა. დათა თუთაშხია, ჭაბუა ამირეჯიბის ცნობილი რომანის გმირი, ქართულ ლიტერატურაში თავისუფლებისმოყვარე ინდივიდის არქეტიპია, რომელიც ძალაუფლებისა და სოციალური წესრიგის რეპრესიულ სისტემებს უპირისპირდება. აპლიკაციის ტექნიკით შექმნილი ფიგურები, წარმოდგენილია სახეების გარეშე, რაც პერსონაჟებს ინდივიდუალურ იდენტობას აცლის და მათ სიმბოლურ სოციალურ ტიპაჟებად გარდაქმნის. სერიაში ჩნდება ძალაუფლების სხვადასხვა მექანიზმები - სახელმწიფო, ოჯახი, ეკლესია, საზოგადოება... ამ ფონზე კონტრასტულად ვლინდება ინდივიდუალური, თავისუფალი ნება, მისი სოციალური თუ ჰუმანისტური მნიშვნელობა. ლიტერატურული ტექსტის შთაგონებით კოპალეიშვილის მხატვრული კვლევა, რეპრესიულ სოციალურ სისტემებსა და პიროვნულ თავისუფლებას შორის მუდმივ დაძაბულობას იკვლევს.

The “Data Tutashkhia” series by Merab Kopaleishvili, created during 1996-1997, presents a creative visual interpretation of a literary narrative. Data Tutashkhia, the protagonist of the well-known novel by Chabua Amirejibi, appears in Georgian literature as an archetype of the freedom-seeking individual who resists the repressive systems of power and social order. The figures created through the technique of appliqué are presented without faces, a deliberate artistic choice that removes their individual identity and transforms them into symbolic social types. Within the series, different mechanisms of power emerge: the state, the family, the church, and society. Against this background, the idea of individual free will appears in sharp contrast, revealing its social and humanistic significance. Inspired by the literary text, Kopaleishvili's artistic investigation explores the persistent tension between repressive social systems and personal freedom.

მერაბ კოპალეიშვილი
MERAB KOPALEISHVILI

სერიიდან დათა თუთაშხია
From the series Data Tutashkhia
1988 - 1989

მერაბ კოპალეიშვილი
MERAB KOPALEISHVILI

სერიიდან დათა თუთაშხია
From the series Data Tutashkhia
1988 - 1989

მერაბ კოპალეიშვილი
MERAB KOPALEISHVILI

სერიიდან დათა თუთაშხია
From the series Data Tutashkhia
1988 - 1989